მოგესალმებით ძვირფასო მშობლებო,

თითქოს სწავლა სულ რამდენიმე დღის წინ დაიწყო, მაგრამ, სინამდვილეში, უკვე შუა სემესტრს მივაღწიეთ.

თითქოს მივეჩვიეთ პანდემიის პირობებში სწრაფ და უეცარ სიახლეებთან შეგუებას, მაგრამ ორი დღით ადრე გაკეთებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ სწავლა 15 სექტემბერს საკლასო ოთახებში არ დაიწყებოდა, გაოგნებულები და საოცრად იმედგაცრუებულები დაგვტოვა.

თითქოს არ ვნებდებით ონლაინ ფორმატით განხორციელებული სწავლების გამოწვევებს, მაგრამ ამავდროულად, საშინელ დისკომფორტს განვიცდით მოსწავლეებთან პირდაპირი კონტაქტის არარსებობის გამო.

თითქოს სკოლაში მერხებსა და სკამებს აღარვინ ამტვრევს, მაგრამ კედლებმაც კი მოიწყინეს ამ უჩვეულო სიჩუმისა და ფერდაკარგული დღეების გამო.

ბევრი „თითქოს“ და „მაგრამ“ დაგვიგროვდა, თუმცა ყველა მათგანის ჩამოთვლა ამ წერილში უადგილოც იქნება და ვერც გამოწვევების გადალახვაში დაგვეხმარება.

ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ წერილში ორი მთავარი მიმართულება წარმოგიდგინოთ: ემოციური ნაწილი და ფაქტობრივი ნაწილი. დავიწყებთ ემოციურით.

ჩვენ მადლობლები ვართ და ვაფასებთ თქვენს მხარდაჭერას, ნდობას და, ზოგადად, პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მიმართ. წელს, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ცვლილებებისა, სკოლიდან მოსწავლეთა გადინება იყო დაბალი, ხოლო სკოლაში გადმომსვლელთა რიცხვი - საგრძნობლად მაღალი. ზოგიერთ კლასში ვერც კი შევძელით მოსწავლეთა მიღება ადგილების არარსებობის გამო. ვაცნობიერებთ, რომ ეს სტატისტიკა პირდაპირ შესაბამისობაშია თქვენი ლოიალობის კოეფიციენტთან. მიღების დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დავადგინეთ, რომ დაინტერესებული პირების დიდი ნაწილი სწორედ ჩვენი მოსწავლეებისა და მათი მშობლების რეკომენდაციით ირჩევს ლოგოსს და ყოველისმომცველ ინფორმაციას ფლობს ჩვენი საგანმანათლებლო პროცესისა და სერვისების შესახებ. ცნობილია, რომ მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული კმაყოფილება ყველაზე უფრო ეფექტური რეკლამაა, რისთვისაც მადლობას გიხდით და ვეცდებით გავამართლოთ თქვენი იმედები და მოლოდინები.

როგორც ემოციურ ასევე პრაქტიკულ დონეზე, სკოლის ადმინისტრაციისთვის ურთულესია სკოლის მართვა კოვიდ19-ის შეზღუდვებისა და რისკების პირობებში. სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს იმდენი ცვლადი იყრის ერთად თავს, რომ ხან დაწყებითი კლასების

ცხრილი დგება თავდაყირა, ხან საბაზო / საშუალო საფეხურის, ხოლო ხან - ორივე ერთად. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს ვცდილობთ, გავითვალისწინოთ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა მოთხოვნები და თავისებურებები, ოჯახის საჭიროებები, მშობლების გრაფიკი, მასწავლებლების გრაფიკი და ბევრი სხვა დეტალი. ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ჩვენს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია და თქვენგან უამრავი კომპლიმენტი მივიღეთ და დღემდე ვიღებთ ამ კომპლექსური პროცესის მართვასთან დაკავშირებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთულესი იქნებოდა საჭირო ენთუზიაზმისა და მოტივაციის პოვნა.

მოცემულობა ასეთია: 7-12 კლასის მოსწავლეებმა სწავლა დისტანციურად დაიწყეს. რაც შეეხება სკოლამდელი აღზრდისა და 1-6 კლასის მოსწავლეებს, ისინი ერთი თვის განმავლობაში საგანმანათლებლო მომსახურებას სკოლის შენობაში იღებდნენ, თუმცა იყო ნაწილი, რომელიც გაკვეთილებს დისტანციურად ესწრებოდა. მასწავლებლისთვის ეს პროცესი რთულია! ალბათ თავადაც წარმოგიდგენიათ, რა ძნელია ასეთ სიტუაციაში მცირეწლოვან მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა! მაგრამ ამ გამოწვევასაც, თქვენთან ერთად, თავი წარმატებით გავართვით.

რაც შეეხება ფაქტობრივ მხარეს: ფაქტი ერთია! ყველაფერი ხდება თქვენგან და ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და ორივე მხარე ვცდილობთ, რეალობას რაც შეიძლება კარგად ავუწყოთ ფეხი. ამისათვის შემდეგი ნაბიჯები გადავდგით:

1. დავიცავით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები და შენობა მოვაწყვეთ/აღვჭურვეთ ისე, რომ მინიმალურია ინფექციის გავრცელების საშიშროება;
2. ავირჩიეთ მშობლებთან გახსნილი და გულწრფელი ურთიერთობის ფორმა, რაც ინფორმაციის შეფერხების გარეშე მიწოდებასა და მიღებას გულისხმობს, მათ შორის მოსწავლისა და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
3. კოვიდ ინფექციის ეჭვის ან დადსტურების შემთხვევაში, დროულად ვახდენთ რეაგირებას და ინფორმაციის დაგზავნას პოტენციურ კონტაქტებთან. საჭიროების დადგომისთანავე, კლასი და შესაბამისი მასწავლებლები გადავიყვანეთ თვითიზოლაციაში და სასაწავლო პროცესი განვახორციელეთ დისტანციურად;
4. როდესაც ქვეყანაში დადგა ინფიცირების მაღალი რისკი, სამინისტროსთან შეთანხმებით დაწყებითი საფეხური რვა სასწავლო დღის განმავლობაში გადავიყვანეთ დისტანციურ რეჟიმზე;
5. მუდმივად ვახორციელებთ ცხრილის მოდიფიცირებას მოსწავლეებისა და მასწავლებლების საჭიროებებიდან გამომდინარე;
6. დამრიგებლებსა და მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან და მშობლებთან;
7. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს ვუტარებთ დამატებით კონსულტაციებსა და ინდივიდუალურ გაკვეთილებს;

8. სკოლის დირექტორი მართავს საინფორმაციო და სამოტივაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან;

9. ხორციელდება ონლაინ კლასგარეშე აქტივობები როგორც კლასების ასევე სკოლის დონეზე;

10. 2020 წლის მარტიდან დღემდე, მუდმივად ტარდება აქტიური სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები სკოლის პედაგოგებთან. ჩვენ ვმუშაობთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: შეფასების სტრატეგიების გაუმჯობესება და მოსწავლეებისათვის საინტერესო კომპლექსური დავალებების, განსხვავებული ფორმატის შუალედური შემაჯამებლებისა და ფინალური გამოცდების ეფექტურად ჩატარება ონლაინ სივრცეში.

წერილის ბოლოს, გვინდა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ თქვენ მიმართ პატივისცემა და მხარდაჭერა. ჩვენ 24/7 განმავლობაში ვფიქრობთ და ვშრომობთ იმისთვის, რომ ეს სირთულეებით აღსავსე პერიოდი ცოტათი მაინც გავუიოლოთ მოსწავლეებს და მათ ოჯახებს. ბევრს ვაკეთებთ და მზად ვართ, კიდევ უფრო ბევრი გავაკეთოთ. ასევე მზად ვართ თქვენი მხრიდან ჯანსაღი რჩევებისა და შემოთავაზებების განხილვისათვის. თქვენი შვილების აკადემიური თუ პიროვნული განვითარების შესახებ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, თქვენ გვერდით გვიგულეთ!

სიყვარულით და პატივისცემით,
ლოგოსის ადმინისტრაცია